



სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის
გენერალური დირექტორის

ბრძანება № 131

2022 წლის 12 ივლისი

ქ. თბილისი

2022 წლის ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსის ფარგლებში
წარმოდგენილი საგრანტო პროექტების მოხსნის შესახებ

“ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების წესის და პირობების დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 13 ოქტომბრის N135/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის, „2021 წლის ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსის გამოცხადების, კონკურსის პირობების და საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ“ სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2022 წლის 6 აპილის N54 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის პირობების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის სამეცნიერო დეპარტამენტის უფროსის 2023 წლის 11 სამსახურებრივი ბარათის (N787320) შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. 2022 წლის ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსიდან კონკურსის პირობებთან შეუსაბამობის გამო, მოიხსნას საგრანტო პროექტები ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურს წინამდებარე ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე.
3. ბრძანება ძალაშია ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

ჯაბა სამუშია

დამტკიცებულია
 სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო
 ფონდის გენერალური დირექტორის
 2022 წლის 12 ივლისის N131 ბრძანებით

2022 წლის ახალგაზრდა მეცნიერთა კვლევების გრანტით დაფინანსების კონკურსიდან
 მოხსნილი პროექტები

№	პროექტის შიფრი	მასპინძელი დაწესებულება	კონკურსიდან მოხსნის მიზეზი
1	YS-22-205	შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი	დარღვეულია ფონდის გენერალური დირექტორის 2022 წლის 6 აპრილის № 54 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის პირობების მე-2 მუხლის მე-7 პუნქტი
2	YS-22-1508	ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი	ახალგაზრდა მეცნიერის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტაციის მიმართ დადგენილი ხარვეზის (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2015 წლის 13 ოქტომბრის № 135/ ნ ბრძანების, მე-4 მუხლის, გ პუნქტი და ფონდის გენერალური დირექტორის 2022 წლის 6 აპრილის № 54 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის პირობების მეორე მუხლის, 1-ლი პუნქტის ა ქვეპუნქტი) გამოუსწორებლობის გამო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად საკითხი დარჩა განუხილველი